

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 150 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 200-200 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 400 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 400 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 70 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 30ლარი;
- სამელოვიარო განცხადება - სიტყვა 30 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 3,20 ლარი, სამი თვით - 9,60 ლარი, 6 თვით -16 ლარი, ერთი წლით - 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაგვცემა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100
კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორგი ვოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი მიშაბათი აღიონზე
«ალიონით»

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრისა და შესანების, სარაგოსას (Teatro De la Estacion) თეატრების თანამშრომლობა ახალი ეტაპისკენ მიმავლობს



18 ნოემბერს ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრსა და შესანების არაგონის მხარის დედაქალაქ სარაგოსას თეატრის შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც თეატრებს შორის მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და შემოქმედებითი თანამშრომლობის გაღრმავებას ითვალისწინებს!

მემორანდუმს ხელი ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ნოდარ ლუმბაძის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის პრეზიდენტმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა, ვასილ ჩიკოვიძემ და შესანების, სარაგოსას თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, სარაგოსას საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ხელმძღვანელმა კრისტინა აინესმა მოაწერეს.

მემორანდუმის ფარგლებში, ორთავე თეატრი, ნოდარ ლუმბაძის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის და სარაგოსას საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დაიწყებენ მჭიდრო თანამშრომლობას, რომელიც მოიცავს ერთობლივი შემოქმედებითი პროექტებისა და თანაწარმოების მომზადებასა და განხორციელებას.

ამ მნიშვნელოვანი მემორანდუმის საფუძველზე, 2025 წელს, Teatro De la Estacion ეწვევა ნოდარ ლუმბაძის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს, ხოლო ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი ესპანეთის, სარაგოსას საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას, მემორანდუმი არა მხოლოდ ფესტივალის თანამშრომლობას, არამედ ორივე თეატრის შემოქმედებითი პოტენციალის გაზიარებას და გაძლიერებას ისახავს მიზნად. უპირველესად მისი მთავარი მიზანია ქართული თანამედროვე და კლასიკური მწერლობის პოპულარიზაცია, კულტურული კავშირის დამყარება, მრავალფეროვანი თეატრალური პრაქტიკის გაზიარება და ორივე ქვეყნის კულტურული დიალოგის გაღრმავება.

ასევე ამ მნიშვნელოვან ნაბიჯს დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო თეატრალური სივრცის განვითარებისთვის, რომელიც ქართული და ესპანური ხელოვნების სინთეზით კიდევ უფრო გამდიდრდება.

„აკეთობა-2024“ აღინიშნა



საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ღონისძიება მოაწვეეს. სოფლის ნობათთან და გურულ სამხარეულოსთან ერთად თავიანთი ნამუშევრები და ხელნაკეთი ნივთები გამოფინეს.

აკეთობა ღონისძიებას ლანჩხუთის მერის მოადგილე თორნიკე ტიკაძე, მერი-

ფრიდონ ჩხარტიშვილი - კიკობაძის გზაზე

იტალიაში, ქალაქ მილანში კიკობაძის გზაზე გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამავანსადებელ დაწესებულებაში გაერთიანების სპორტსმენმა ფრიდონ ჩხარტიშვილმა პირველობა მოიპოვა და მინ ოქროს ქაბრი და ჩემპიონის ტიტული დაიპყრო!

საერთაშორისო შეჯიბრიდან დაბრუნებულ სპორტსმენს ფრიდონ ჩხარტიშვილს და მწვრთნელს, ვაჟა თურმანიძეს ზემოთ დახვდნენ ოზურგეთის სპორტის სასახლეში და გამარჯვება მიულოცეს!



ფრიდონ ჩხარტიშვილი 45 კგ წონით კატეგორიაში იასპარეზდა, ჭაბუკთა ასაკობრივ (14წ) ჯგუფში

ლანჩხუთის კულტურის ცენტრში ქორეოგრაფ ბია ხუსუნაიშვილის საიუბილეო კონცერტი გაიმართა



ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო როგორც ქორეოგრაფიული, ასევე ფოლკლორული ნაწარმოებები.

ღონისძიებას ლანჩხუთის მერი ალექსანდრე სარიშვილი პირველ მოადგილე ეკატერინე გუჯაბიძესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო. მუნიციპალიტეტის მერმა ქორეოგრაფს

მიულოცა საიუბილეო თარიღი და საპატიო ლანჩხუთელის წოდება მიანიჭა.

გია ხუსუნაიშვილი ღირსების ორდენისაა. მან 1975 წელს ანსამბლი „იმედი“ დაარსა, რომელმაც არაერთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. 1987 წელს „იმედს“ სახალხო ანსამბლის წოდება მიენიჭა.

ასკანელის ტრადიციული მელვინეობის მორიგი ტრიუმფი!

Asia Wine Trophy
Asia's Largest Wine Competition under the Patronage of the OIV

BEST QVEVRI AMBER WINE

2024 Asia Wine Trophy Best Qvevri Amber Wine

KAKHURI MTSVANE QVEVRI 2021

Asia Wine Trophy-ის, OIV- დასახელდა! ის პატრონაჟით გამართულ ყველაზე მასშტაბურ ღონისძიებას, ასკანელის კახური მწვანე, საუკეთესო ქვევრის ღვინოდ დასახელდა!

ასევე, ქვევრის კახური მწვანე ორმაგი ოქროს მედლის მფლობელიც გახდა!

გულლოცავთ!

25 ნოემბრიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჰაერის ტემპერატურა დაიკლებს, მოსალოდნელია წვიმა, მაღალ მთაში - თოვლი

გარემოს ეროვნული სააგენტო მომდევნო დღეებში მოსალოდნელ ამინდთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს.

სააგენტოს ცნობით, 25 ნოემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცივი და ნოტიო ჰაერის მასების გაურცელება, სანაპირო რაიონებში შესაძლებელია ძლიერი წვიმა, ელჭექი, ზღვაზე 4-6-ბალანის შტორმი, მაღალ მთაში - თოვლი, ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე იქროლებს დასავლეთის მიმართულების ძლიერი ქარი.

მოსალოდნელია ნალექებმა, შესაძლებელია, დასავლეთ საქართველოს მდინარეებზე - წყლის დონეების მატება, ხოლო გორაკ-ბორცვიან და მთიან ზონებში მეწყერულ-ღვარცოფული პროცესების ჩასახვა-გააქტიურება გამოიწვიოს.

25 ნოემბრიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჰაერის ტემპერატურა მნიშვნელოვნად დაიკლებს. 26-28 ნოემბერს ქვეყნის ტერი-



ტორიის უმეტეს ნაწილში მოსალოდნელია ნალექი, მთაში თოვლის სახით, ზოგან - ძლიერი. მაღალმთიან რაიონებში შესაძლებელია ნისლი, ქარბუქი და ზვავაშიშროება.

დიდთოვლობის, ხილვადობის გაუარესების, ქარბუქის და ზვავაშიშროების გამო სააგენტომილო გზების ცალკეულ მონაკვეთებზე, შესაძლებელია, შეიზღუდოს ტრანსპორტის მოძრაობა (საფრთხის დონე საშუალო).

ტყის სექტორის მხარდაჭერის პროექტის „ECO.GEORGIA“ შესახებ გურიის რეგიონში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა



საქართველოს ტყის სექტორის მხარდაჭერის პროექტის – „ECO-Georgia“ ფარგლებში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვენობნის საქმანი ეზოში გურიის მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები განიხილეს და სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს. პროექტს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, კლიმატის მწვანე ფონდის, გერმანიის, შვეიცარიისა და საქართველოს მთავრობების თანადაფინანსებით ახორციელებს. პროექტის მიზანია ტყეების მდგრადი მართვის გზით ემისიების შემცირება, ენერგოეფექტური და ალტერ-

ნატიული საწვავის პოპულარიზაცია. პროექტის ერთ-ერთი მთავარი განმახორციელებელი ეროვნული სატყეო სააგენტოა. სააგენტოსა და დონორის ერთობლივი კონტრიბუციით, სამ სამიზნე რეგიონში - კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და გურიაში 15 საქმანი ეზოს მშენებლობა დასრულდა; სატყეო-სამეურნეო საშუალების ეფექტიანად განხორციელებისთვის, შექმნილია მაღალი გამავლობის ავტომანქანები და სპეცტექნიკა; ტყის მართვის გეგმების შესამუშავებლად გატარდა შესაბამისი ღონისძიებები. 2024 წლისთვის, ეროვნულ სატყეო სააგენტოს 55 „საქმანი ეზო“ აქვს მოწყობილი, სადაც მოსახლეობა შეძლებს საშუა-

და სამასალე მერქნის შექმნას. საქმანი ეზოების მოწყობა ყველა მუნიციპალიტეტშია დაგეგმილი. ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილის, **დავით დამენიას** განცხადებით, მერქნული რესურსის სწორი გამოყენება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მერქნის ლეგალური ბაზრის, ასევე ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას და უკანონო ტყისთარგებლობის რისკების შემცირებას. „მერქანზე ხელმისაწვდომობის გაზრდის, კონომიკურ ბრუნვაში ჩართვისა და კერძო სექტორის ხელშეწყობის უმთავრესი პირობაა სატყეო გზებისა და საქმანი ეზოების განვითარება. ჩვენი მიზანია, საშუალო მერქნის ღირებულება მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობისთვის. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ საქმანი ეზოში დასაქმებულია მინიმუმ 7 ადგილობრივი მოსახლე“, - აღნიშნა დავით დამენიამ. საქმანი ეზოში დღევანდელი მდგომარეობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 1 მ3 საშუალო (სათობი) რესურსის ფასი (წიწვოვანი, ფოთლოვანი) შეადგენს: • ფოთლოვანი მერქნიანი სახეობები - 105 ლარი (ტრანსპორტირებით); • წიწვოვანი მერქნიანი სახეობები - 100 ლარი (ტრანსპორტირებით); დადგენილი სარეალიზაციო ფასები ტრანსპორტირებით მოცემულია 30 კმ-

ის ჩათვლით, ხოლო 30 კმ-ის ზევით ყოველ მომდევნო კილომეტრზე ფასი ემატება, 1 მ3-ისთვის - 0,50 ლარი; საშუალო მერქნული რესურსის დაბობა-დაჩეხვის მომსახურების ღირებულება 1კმ-ზე შეადგენს 20 ლარს. მოსახლეობა საქმანი ეზოებში მომსახურების საფასურის გადახდას შეძლებს ლიბერთი ბანკის ტერმინალებით. პროექტს, 8 სამიზნე მუნიციპალიტეტში (სამი სამიზნე რეგიონი: კახეთი, გურია და მცხეთა-მთიანეთი, რვა სატყეო უბანი - ყვარელი, დედოფლისწყარო, თელავი, თიანეთი, ჩოხატაური, ოზურგეთი, ლანჩხუთი და ახმეტა), ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან ერთად, სოფლის განვითარების სააგენტო, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი და გარემოსდაცვითი ინფორმაციის განათლების ცენტრი ახორციელებს. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (Id) პროექტის „ECO.GEORGIA“ ფარგლებში, უკანონო ტყისთარგებლობის მიმართულ კონტროლის გაძლიერების მიზნით, მიმდინარეობს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაბამისი ტექნიკით აღჭურვა. საინფორმაციო შეხვედრის ფარგლებში, დაინტერესებულმა პირებმა ინფორმაცია მიიღეს სოფლის განვითარების სააგენტოს იმ მიზნობრივი პროგრამების შესახებ, რომლებიც ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვასა და პოპულარ-

იზაციას უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამები გულისხმობს, როგორც ენერგოეფექტური ღონისძიებებისა და ალტერნატიული საწვავის მწარმოებლების ხელშეწყობას, ასევე, მომხმარებლებ-ისათვის ენერგოეფექტურ ღონისძიებებზე ხელმისაწვდომობის ზრდას. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო სამიზნე მუნიციპალიტეტისათვის შექმნილი სხვადასხვა თანამედროვე ტექნიკა - დრონი, ფოტოზაფხანგები, ვიდეორეგისტრატორები, პლანშეტები და სხვა. აღნიშნული აღჭურვილობა და შესაბამისი მანქანები გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს ეხმარება, უფრო ეფექტიანად განახორციელოს გარემოსდაცვითი მიმართულებით დარღვევების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა. საინფორმაციო შეხვედრაზე გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის წარმომადგენლებმა გურიის (ოზურგეთის, ლანჩხუთი, ჩოხატაური) მოსახლეობას მათთვის საინტერესო თემებზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს. შეხვედრას გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, ადგილობრივი თვითმმართველობების და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ბარამოსდაცვითი პროგრამის აღსრულება და ანგარიში

ალიონი. 2024 წლის ზაფხულისა და შემოდგომის სეზონი, ბრიტანული კომპანიის SLR-ის მკვლევარის მიერ 2021 წელს ბიომრავალფეროვნების კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების ე.წ. სამოქმედო გეგმის აღსრულების თვალსაზრისით, დატვირთული პერიოდია. მსოფლიოში აღიარებული ექსპერტების მიერ გაწერილი სამოქმედო გეგმის მიხედვით მუშაობა ბაზე ჰესის გუნდმა მუხრანის დაწესებულების პირველი დღეებიდან დაიწყო. 2024 წლის ივლისში, ბაზე ჰესის („ბაზე 1“ და „ბაზე 2“) საპროექტო არეალში გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებული ბიომრავალფეროვნების კვლევა, ეკოლოგიის მაგისტრმა, თბილისის ზოოლოგიური პარკის სამეცნიერო პროგრამის მენეჯერმა, **ნიკო ტყეშელაშვილმა** ჩატარა. კვლევის მიზანი, სამშენებლო ეტაპზე ბიომრავალფეროვნების კომპონენტების (პატიტატები, მობინადრე ან/და ვიზიტორი ცხოველები, ქვეწარმავლები, რეპტილიები) ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების განსაზღვრა იყო. **კვლევის შედეგი:** **ბაზე 1 ჰესი** **ცნობილია:** ტუბოქოფერებიდან აღნიშნულ არეალში გავრცელებულია საქართველოს წითელი ნუსხით დაცული **მურა დათვი**, **ტყის კვერნა**, **იშვიათად კვერნაზოლი წავი**, **არჩვი და შველი**. მონიტორინგის პროცესში მკვლევარის მიერ მურა დათვი დაფიქსირდა 4 სხვადასხვა ადგილას, მათ შორის ერთი ინდივიდი ვიზუალურად. **დასკვნა:** აქტიური სამშენებლო სამუშაოების მიუხედავად, ცხოველები აღნიშნულ ტერიტორიაზე ხშირად გადაადგილდებიან. მათზე პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზეგავლენა მინიმალურია. **ფრინველები:** ბაზე 1-ის საკვლევი ტერიტორია ძირითადად ათვისებულია ბელურასნარით რიგის წარმომადგენლების მიერ. **რეკომენდაცია:** ყოველწლიური მონიტორინგი მათი სახეობრივი მრავალფეროვნების და რაოდენობის გასაკონტროლე-

ბლად. **შემარბილებელი ღონისძიება:** ხელოვნური ბუდეების განთავსება. **დამატებითი ინფორმაცია:** „ბაზე 1 ჰესის საკვლევი ტერიტორიაზე მონიტორინგის პროცესში ნანახი სახეობების ჩამონათვალი ეთხვევა პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტსა და დამატებით კვლევებში აღწერილ სახეობებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ აქტიური სამშენებლო სამუშაოების მიუხედავად, პროექტის განხორციელებით ბიომრავალფეროვნებაზე ზეგავლენა მინიმალურია. **ბაზე 2 ჰესი** **ცნობილია:** საკვლევი არეალში, კერძოდ მისასვლელ გზაზე დაფიქსირდა დათვი, კვერნა, მელამდინარის კალაპოტის მიმდებარე კი, აღმოჩნდა **ვეროული შველი და ვერაზოლი წავი**. „კვლევამ აჩვენა, რომ მურა დათვი ღამით ხშირად ჩამდის საკვლევი არეალის მიმდებარე არსებულ სოფლებშიც, სადაც ტყეებს ებმის თხილის პლანტაციები. ტურა, მელა და მელი კი, ღამით საკმაოდ ახლოს მდებარე, როგორც სოფლებთან, ასევე ბაზე 2-ის ტერიტორიაზე არსებულ საცხოვრებელ ბანაკთან და გარეგნულ ტექნიკასთან. საკვლევი ტერიტორიაზე ნანახი ტუბოქოფერებიდან მურა დათვი და ვერაზოლი წავი წითელი ნუსხის სახეობებია“ - აღნიშნულია ანგარიშში. **ფრინველები:** საპროექტო არეალში წარმოდგენილია - **შავი შაშვი, გულწითელი კოდალა** და ა.შ. მდინარის კალაპოტში წყალთან დაკავშირებული ფრინველების კვლევამ კი აჩვენა, რომ 2024 წელს ბებრ მთავანს ჰქონდა წარმატებული ბუდობა, ვინაიდან ადგილზე მრავალად მოხერხდა ბარტყების აღმოჩენა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობა უარყოფით ზემოქმედებას არც ფრინველებზე ახდენს. **ამფიბიები და რამპტილიები:** არეალში არსებული პატიტატები არ გამოირჩევა არც სახეობრივი მრავალფეროვნებით და არც სიმჭიდროვით, თუმცა კვლე-



ბაზასისური სალამანდრა



ნაპადულის კალმანი

ვის დროს ნანახი იქნა რეპტილიების 2 და ამფიბიების 5 სახეობის წარმომადგენელი, მათ შორის წითელი ნუსხით დაცული კავკასიური სალამანდრა და კავკასიური გომბეჭო. კავკასიური სალამანდრა დაფიქსირდა 2 ადგილას. **დასკვნა:** ისევე როგორც ბაზე 1-ის შემთხვევაში, ბაზე 2-ის საკვლევი არეალშიც როგორც ტუბოქოფერების, ასევე ფრინველების, რეპტილიებისა და ამფიბიების თვალსაზრისით მდგომარეობა სტაბილურია.

რეკომენდაცია: კავკასიური სალამანდრისათვის და კავკასიური გომბეჭოსთვის უნდა მოწყოს ხელოვნური გუბურები, რათა მოხდეს მათი გამრავლებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. რაც კომპანიის მიერ უკვე შესრულებულია. **მთითოელობრივი კვლევა** **ბაზე 1 და 2** 2024 წლის 30-31 აგვისტოს ბიოლოგიის მაგისტრმა (კონცენტრაცია ჰიდრობიოლოგია-იქთიოლოგია) გიორგი ზაალიშვილმა ბაზე 1 და ბაზე 2 ჰესების საპროექტო არეალში გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებული იქთოლოგიური კვლევა ჩატარა. მოცემული კვლევის მიზანი იყო მდინარე ბაზისწყლის ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის შეფასება სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პირობებში. ბაზე 1 და ბაზე 2 ჰესების საპროექტო არეალში გავრცელებულია მხოლოდ ერთი სახეობის თევზი - **ნაკელის კალმანი**. მიუხედავად იმისა, რომ მისი პოპულაცია მცირეა, ნაკელის კალმანის ზოგადი გავრცელება ნაკელის კალმანის ზოგად საცხოვრებელ პირობებს. 3) საპროექტო ტერიტორიაზე ნაკელის კალმანის ინდივიდების გადაადგილების შემავრცელები მონაცემები არ გამოვლინდა. **მკვლევარის რეკომენდაცია:** ქვირითობის პერიოდში (სექტემბერი - თებერვალი, სადაც აქტიური ფაზა ოქტომბერი - ნოემბერი) ბუნებრივ წყალსატევთან მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების მაქსიმალური სიფრთხილით განხორციელება და დასაქმებულების ინფორმირებულობა. კომპანია მომუშავე

პერსონალის ცნობიერების ამაღლების მიზნით, სხვადასხვა სახის ტრენინგს უტარებდა როგორც კვლევამდე ასევე, გავრცელებულ კვლევის შემდეგაც. ბაზე 1 ჰესი - ნაკელის კალმანი **კომპანიის ბარამოსდაცვისა და სოციალური პროექტების გუნდის მიერ ჩატარებული საშუალო** 1. მიმდინარე წლის ივნისში კავკასიური სალამანდრის საბინადრო ადგილების იდენტიფიცირებისთვის მინიშნა კოორდინატები და შეიქმნა შესაბამისი რუკა. „ბაზე 1“ ჰესის საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში რუკაზე ვაშში 10 საბინადრო ადგილი დაფიქსირდა. სპეციალური ტბორები სალამანდრის მისცემს გამოზამბორების საშუალებას, რაც პირდაპირპროპორციულად ნიშნავს ნულოვან დანაკარგს. ამ ადგილების მონიტორინგი ჩვენი გარემოსდაცვითი მენეჯერების მიერ პერიოდულად ხორციელდება. 2. საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის მკვლევარის მიერ გაწერილი შემარბილებელი ღონისძიებების შესაბამისად, ასევე მიმდინარე წლის აგვისტოში ბაზე 2 ჰესის საპროექტო არეალში, მოჭრილი მორებისგან მოწყობილი ალპური ხარახუნის თავშესაფარი და საკვები ადგილები. შედეგად, აღნიშნული სახეობა შეძლებს არსებობას და განვითარებას და პროექტის განხორციელება მასზე ზეგავლენას არ მოახდენს. 3. SLR-ის კიდევ ერთი შემარბილებელი ღონისძიების შესაბამისად, ამავე წლის აგვისტოში „ბაზე 2“ და „ბაზე 2 ბაღური კვანძის შენობასა და წყალმომდების განთავსების ადგილს შორის არსებულ ხეებზე დამონტაჟდა ფრინველების დასაბუდელები ყუთები, რომელიც თავის მხრივ, მეორადი გამოყენების მასალიდან დამზადდა. აღნიშნული შემარბილებელი ღონისძიების მეშვეობით საპროექტო არეალში მინიმუმ იქნება შექმნილი, ან თავიდან იქნება აცლებული პატიტატზე ზემოქმედება სხვადასხვა სახეობისათვის.

ბრიტოლ ორბელიანი და „ბურის ავითება“

სიძარით ვითხრობდა, არ ვიცი, რამდენი წერილი გამოუქვეყნებია ვაჟი „ალიონში“. არც ის ვიცი, რამდენი წერილი მომეწონა და რამდენი არ მომეწონა, რამდენი ვაძაგე და რამდენი შემიყვარა. თუმცა, არასდროს შემარია იმის ეჭვი, რომ წერისას თუ რედაქტორებისას უკეთესად ვერ დავწერდი. პირველი, ყოველი ზედმეტი „თავდადება“ უარეს და უარეს შედეგს მოიტანდა, უპირველეს ყოვლისა, მკითხველისთვის.

აქამდე ასე იყო. დღეს, როცა ახალი წერილის დაწერა გადაწყვიტებ, სათაურიც ავკრიფებ და წერასაც შევუდექი, უკვე მრამდენად ნასწინები წიგნიდან ერთი ვრცელი მონაკვეთი კი არ გამასხვინია, ლამის დავინახე. მართალია, გვერდების აღნიშვნები ციფრები კარგად კი არა, საერთოდაც ვერ გავარჩიე, მაგრამ 5 და კიდევ ერთი აზრები ნაძვლავად დავინახე!

მონაკვეთი „გურიის ავითებას“ და მასში გრივად ორბელიანის მონაწილეობას ეხება.

გვერდების დანახვას იმ შეგრძნების კიდევ ერთხელ გასხვავება მოჰყვა, პირველად, ვერ კიდევ ყდაუსმელები წიგნის ამ გვერდების წაკითხვისას რომ დამეფულა.

მინდოდა კიდევ უფრო დიდი შესავალი გამეკეთებინა „გურიის ავითებას“ და მასში გრივად ორბელიანის მონაწილეობისთვის, მაგრამ გადავიფიქრე. სხვათა შორის, არც ერთი წამით არ მიფიქრა იმაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია პოეტის საუბრილი წიგნისთვის მიღწეული წერილების ციკლში მსგავსი ისტორიების განსხვავება.

ვისეხებოდა, ვაცვიფრებულ და სრულად გაგიზიარებო!

ქართულ საზოგადოებაში ვერ კიდევ ადრე, გრივად ორბელიანის შესახებ თავნებისკენით დაწერილი იონა მუქარაგას მონოგრაფიებიდან მოყოლებული (იხ. ქართველი მწერლები, — I, 1954, გვ. 56) ერთგვარად განმტკიცებულია აზრი, რომ პოეტი აქტიურად მონაწილეობდა გურიის 1841 წლის აჯანყების ჩაქრობაში. ერთ-ერთ ბოლოდროინდელ და სოლიდურ წიგნში ვკითხულობთ: „გურიის ავითებას“ გრივად კაპიტანის წოდებით ებრძოდა. აქვე დაწინაურდა არსებითი მონაწილეობით ინფანტერიის გენერალი. თუ ლეკებთან ბრძოლაში თავს მამაპაპათა სისხლის აღებით იმართლებდა, აქ თავის მართლებას ელამბრა ზედმეტად და გენიალური დისციპლინი სრულად სამართლიანად საცდელიობის ბიძას „უღანაშულო გურიელი გლეხების სისხლის დაქვეყნა“. იმავე ავტორის აზრით, „ფაქტია, რომ გურიელი გლეხობის წინააღმდეგ ბრძოლა გრივად ორბელიანის ცხოვრების ყველაზე უფრო საჩივრო ფორცელია. როგორც მეფის არმიის ოფიცერი, ჩვენი პოეტი მონაწილეობდა ივრად გურიის 1841 წლის იმ აჯანყების ჩაქრობაში, მოგვიანებით ასე უხადოდ და ბრწყინვალედ რომ ასახა ეგნატე ნინოშვილმა თავის უცვლელ „ჯანგი გურიამში“.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნისათვის საუკუნეთა განმავლობაში ერთ-ერთ უბედურებად იქცა მის საუკუნეთა შველია მტრის სამსახურში ყოფნა. XIX საუკუნეში რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ მოხდა „სამსახურის ერთგვარი მიდრინვა“ცა, როცა ქართველი ახალგაზრდობა მათივე მშობლებისა თერგოული ჩარევით სამხედრო განათლებას იღებდა. არსებული პოლიტიკური ვითარების გამო ქართველთა ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, როცა რუსეთის იმპერიის სამსახურში მყოფი ქართველები ებრძოდნენ თავიანთ ისტორიულ მტრებს: ოსმალებს, სარსელებსა და ლეკებს, მათ მოქმედებას სათანადო პატრიოტული მექანიზმი განავრცავდა, მაგრამ იყო მხოლოდ პირობები, როდესაც ისეთ ბრწყინვალე მამულიშვილები, როგორიც, მაგალითად, ალექსანდრე ქავჭავაძე, ალექსანდრე ორბელიანი, გრივად ორბელიანი და დავით კლდიაშვილია, იძულებულნი იყვნენ, მათთვის ესოდენ უსამართლო ოპორტუნობა მიეღოთ მონაწილეობა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რას ფიქრობდნენ ასეთ მდგომარეობაში მყოფი

ეს სახელოვანი ქართველები. ბუნებრივად ისინი კითხვას: ნუთუ მათ არ ჰქონდათ არავითარი შესაძლებლობა გამოეხატათ პროტესტი, დაემდგარიყვნენ თანამშრომლთა გვერდით და ა. შ. რასაკვირვებელია, საკითხის ასე დასმა სავსებით ბუნებრივად კანონზომიერიც. მაგრამ გასათვალისწინებელია თვით სამხედრო სამსახურის სპეციფიკა, სიტუაცია, რომელშიც მოქმედებდა ეს თუ ის დასახლებული პირი და შემდეგ უილაჯობის ის ტრაგიკული შეგნება, რასაც განიცდის ასეთ წუთებში ადამიანი, ჩვენამდე არაა მოღწეული არავითარი ცნობა, რას განიცდიდა ალ. ქავჭავაძე, როცა აჯანყებულ კახელებთან მივიდა. ფაქტია, რომ ის ცდილობდა სიტყვით მათი დამშვიდებას, შემდეგ იძულებული იქნა და მიხვდა სისხლისღვრა, დაიჭრა თვით პოეტიც ისე, რომ მას იარაღი არ გამოუყენებია...

სამაგიეროდ, ჩვენ გვაქვს ბათუმის მუშათა გამოსვლები. დარბევამ მონაწილე დიდი ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის თვითი ხილული მსგავსი სინამდვილის წარმოდგინა: აღწერა, სადაც ამ დიდსულოვანი პიროვნების და ხელოვანის ტრაგიკული განცდებიცაა გამოშლილი. მსურველ ქართველი პატრიოტი რუსეთის იმპერიის ოფიცერი კლდიაშვილი, რომელიც შემდეგ პოლკოვნიკის ჩინით გვიდა ჰენსაზე, ასეთ სურათს ხატავს: „ვევრად გავარდა რეგულერი... საზარელი კვილა, წივილი... არია ყველაფერი! გარბან ვინებდაკარგული მითი, ვლუტერ ერთმანეთს. დაკარგულ იქაურება. ქუჩა კი მოფინილია დავრლებით, მოძვდვებით და მოკლულებით, სისხლში ვიდან დევი ახალგაზრდები, ზოგი უძრავად, ზოგი სიკვდილს ებრძვის... გულაღვლებული თვალსრულიანი ვუყვებოდი ჩემს გარშემო შერდელ ვეფუეს, თუ როგორ მოულოდნელად მიხვდა ასეთი სამხელი ამბები. ახლა ტირი! პატრონო! კაცი რომ ყოფილიყო. აქ არ იქნებოდა! — მიმეძს უქიდან. ამის მოქმელი უილაღვრავი იყო. ადულდ გული ვიკისად, შეგაგვრა გამხნამ მგავვირე, მსევო. შეუბრალებული! გესძის შენ შინ სიტყვები. გული ვადამტებით ღუღდა მწარე სიტყვების გავრებით, რა მინდოდა მე ამ რიგებში? რატომ ვხდები მოწუ ავგარი სამხელებისა, ამ საზოგადოებისა, ო, რა ტანჯვა გამოვიარე!“ (დავით კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე თ, VIII, თხზ. ტ. — II, ობ., 1981, 83. 215-216).

პოლიტიკური და ეროვნული თვალსაზრისით ძნელია ასეთი ვითარების შევასება, მაგრამ ქვის გული უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ არ გაუგოს, მსგავს მძიმე ფსიქოლოგიურ სიტუაციაში მოქმედებოდა ადამიანს, ვინც უნდა იყოს ის, აბა, ვისთვის წარმოადგენს მეგლისის კაცთა კვლა და, მათ უმეტეს, თანამშრომლთა სისხლის ღვრა...

ჩვენამდე არ არის მოღწეული რამე ცნობა, თუ რას განიცდიდა გრივად ორბელიანი, როცა ის გურიის აჯანყების ჩაქრობაში მონაწილეობდა: ან, საერთოდ, რა როლი შეასრულა მან ამ ოპერაციაში. ყველაზე სანდო წყაროს წარმოადგენს 1841 წლის 8 ოქტომბრით დათარიღებული ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილი გრივად ორბელიანისადმი, სადაც გენიალური ქართველი პოეტი თავის სახელოვან ბიძას აჯანყებული გურიელების მიმართ გამოუღვიძელ „დიპლომატობას“ უქებს: „შენი დიპლომატობა ხომ ადრევე ვიცოდი: ხუბრობა არ არის, რომ ქართველმა კაცმა გურიელებს შეგონოს ყოველივე უბედურება, რომელიც შეუძლებს აღმშობილებას...“

გრ. ორბელიანის ბიოგრაფიის გასათვალისწინებლად საგულისხმოა, რომ თავისი დისწული, ბრწყინვალე პოეტი ნიკო ბარათაშვილი, მას, გრივად ორბელიანი, გურიელების მიმართ გაწეული შეგონებისა და დიპლომატობის წყალობით მიღწეულ წარმტებას ულოცავს, რაც, უნდა ვივარაუდოთ, იმის მსუქნებელია, რომ გრივად ორბელიანის როლი გურიის აჯანყების მოწინააღმდეგე უპირატესად ამ მისით იფარებოდა.

1842 წლის 20 მაისს პოეტი ქეთაიდან აი, რას ატყობინებს **საქარა ორბე-**

ლიანს: „ქუთაისში მინისტრის ბრძანებით განთავისუფლდეს გურიელები ბუნტისათვის დაჭრილნი, უნდა გენახათ ამითი ტირილი და სიხარული, პირველადი წერა და დლოცვა, მხოლოდ ერთი გავზავნეს „ციმბარში შლიკაშვილი, რომელიც უწინდელს ბუნტებმაკ ვიარა“. იმავე წლის II თვისს გრივად ორბელიანი თავის შვეს, **მიხე არღუინის** კიდევლორუკოვს, მადლიერების გინობით შეგვიღიო სიტყვებით ატყობინებს: „ჩემს ქუთაისში ყოფნისას განთავისუფლდეს გურიელები დიდის ცერებრით, რაც ისინი თქვენ ვლოცვდნენ ცრემლებით!“

პოეტის ასეთი ინტერესი ვაჩვენებ მონაწილე გურიულ შეშფობი ბედისადმი, მისი რეგერანსი მთავარსარდალ მ. არღუთინსკისადმი, რომელიც ხელმძღვანელობდა გურიის აჯანყების ჩაქრობას, იმახვდაც მოითითებს, რომ გრ. ორბელიანს გარკვეული წვლილი მიუძღვის ამ კუთხის მცხოვრებთა მშვიდობან დამოშინებამში, სავარაუდოა, პოეტს, ალბათ, ერთგვარი შეამდგლის მისაც ჰქონდა დაკისრებული მ. არღუთინსკისად და აჯანყებულთა შორის, რაკი განთავისუფლების შემდეგ მინიჭებული წყალობისათვის მადლიერებით ასხენებს მას.

ეს არის და ეს, რაც შეიძლება საბუთად გამოდგეს გრივად ორბელიანის მონაწილეობაზე გურიის ვაჩვენებ. ვერვინობით ოფიციალური წყაროები არ ჩანს და თვით პოეტის წერილებიც არაფერს გვეუბნება მომხდარი ამბების შესახებ, სხვათა შორის, გურიის აჯანყების ჩასაქრობად დამრული რუსეთის იმპერიის სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს. ამ დრის ახლდა სახელოვანი **დიმიტრი ყოფიანიც**, თავის „მეჩუარებში“ ეს ცნობილი ქართველი მოღვაწე წერს: „მე მხვდა პატევი. მოძრავი კანცელარის მსგავსი რამ ვყოფილიყავ, მაგრამ ქუთაისს იქით ჩვენ წასვლა არ მოვიხვდა“, დ. ყოფიანი აქვე მოითითებს გრივად ორბელიანის სახელოვან მ. არღუთინსკისთან. სავარაუდოა, ამ სახელოვანი ნაყოფი იყოს ნ. ბარათაშვილის მიერ ხაზგასმული „დიპლომატობის“ წყალობით ვაჩვენებ მონაწილე გურიელებთან შემდგომში მშვიდობანი მოლაპარაკება და მათი გათავისუფლება; ერთ გარემოებასაც უნდა გავსვას ხაზი: როგორც ცნობილია, როდესაც ეგნატე ნინოშვილი ამ თემებზე თავის რომანს წერდა, ის საჩუქრებლად ნიკოლოზ ბარათაშვილის გიმნაზიული მეგობრის, შემდგომში ცნობილი გენერლის, ქართული ეროვნული საქმის მეცნატის, გრივად გურიელის ბიბლიოთეკით, გურიის აჯანყების შესახებ მის ოვასში დაცული მდიდარი მასალით. გარდა ამისა, როგორც ირკვევა, მწერალს კონსულტანტობას უწევდა დიდი მეცნიერი, ექვთიმე თაყაიშვილი, უნდა ვიფიქროთ, გრივად ორბელიანის აქტიური, დამიჯელი საქმანობის ამსახველი ფაქტები რომ არსებოლიყო, მას არ დავფარავდი ისეთი მძფერი კლასობრივი შეგნებისა და მკაცრი რეალისტური ხედვის მწერალი როგორიც ეგნატე ნინოშვილია, რომან „ჯანგი გურიამში“ კი არსად არ ვიფიქრობებს პოეტის სახელი. ასეთი ფაქტობრივი ვითარება, რომელიც გვიდგენს გრ. ორბელიანის სახეს გურიის აჯანყების დროს. ვიფიქრობ, ამ შემთხვევაშიც პოეტის მიზანგაორებისათან კი არ ვაქვს საქმე, არამედ მიზნისაკენ მავალი კაცის თანმიმდევრულ ქვეყნასთან. ამ დროს კაპიტანი გრივად ორბელიანი ისეღის სამსახურებო მოვალეობას და ამ ვალდებულების ასრულების პროცესში ყოველნაირად ცდილობს შეგონებით თუ დიპლომატიური ფორმით, მშვიდობანად მთავაროს შექმნილი კონფლიქტური მდგომარეობა, რასაკვირვებელია, ეს არაა ადამიანის გმირული საქციელი, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ადამიანი თავისი ცხოვრების ყველა ეტაპზე არ შეიძლება მოგვევლინოს გმირად; თუ ის თავისი მდგომარეობის კვალობაზე აკეთებს იმას, რაც მის ძალეებს ადამტება, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად.

ამგვარ ვითარებაში ჩავარდნილი ქართველი კაცის, თანაც ნიჭიერი პიროვნების, სულიერი ვითარების გულწრფელი ფსიქოლოგიური სურათი სასვები დამაჯერებლად მსატერულ-ლოკუმტური სახით ნაჩვენებია დავით კლდიაშვილის წიგნით განხილულ მოგონებებშიც, რომლის ანალოგიები ჩვენი ერთეული ტრაგიკლის გამო ქართულ სინამდვილეში ადრეც ბევრი ყოფილა და დღესაც მრავალია.“

მართლაც ბერის მოქმელია და აქ მე ვერაფერს დავამატებ.

ავლები და დიმიტრი ყოფიანის „მეჩუარებიდან“ მოვიტან ერთ გურიელებისთვის და არა მხოლოდ ჩვეთვის მნიშვნელოვან ამონარიდს:

„1841 წ. გურიაში აღელვებამ ივეთეს (ეხლანდელი ოზურგეთის მაზრა ქუთაისის გუბერნიაში).

ამ აღვლებების ოფიციალური მიზეზები მე არ ვიცი, ხოლო ვიცი ორი ნამდვილი და არსებითი მიზეზი: ა) მოთხოვნა გადასახადისა ფულად და ბ) ბრძანება კარტოფილის მოგვანისა.

ვამლევ ჩემს თავს ვეფიქრობდ, რომ საზოგადოთ ხალხის გულისწერობის ავეთება, ერეჩევა იმას აღვლებას თუ ამბონება, ხანდახან შეეჩნება ხოლმე ხელოვნურად, — ხოლო უმეტეს შემთხვევაში კი, როგორც იყო აქც გამოწვეულია მხოლოდ მმართველთა დაუფიქრებლობითა და წინადაუხვადობით, საქმეს რომ აუჯერენ და ბოლოს წვლიდან თვითონ მშრალები გამოიდან, თითქო ამით საქმე ვაკეთებო.

მართველობის ორგანიზაციის გარდაქმნა 1840 წ., ზემოთ რომ მქონდა მოყვანილი, რა თქმა უნდა გურიასაც შეეხო: დაარსდა იქ მაზრის სამმართველო და პირველად შემოიღეს გადასახადების ფულად შეწერა.

ამ შეწერის დროს არსად არავინ არ დაკითხებდა თავის თავს, შეიძლებოდა თუ არა მისი რეალიზაცია?

